ბრძანება № 1-75

გორი 07 10 2021წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 11 აგვისტოს N1-58 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 11 აგვისტოს N1-58 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 7. აღდგენის მსურველი პირი, ვალდებულია სათანადო განცხადება რექტორის სახელზე წარმოადგინოს 2021 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით;“;.

2. ეს ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

4. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი